პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1–ლი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ე“ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1–ლი ივნისის №239 დადგენილების დანართის მე–5 მუხლის 1–ლი პუნქტისა და ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1–ლი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვება.

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1–ლი ივნისის №239 დადგენილებით განსაზღვრული წესით, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და წარმოდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის ქართველი
კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის
სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის
2015 წლის 1–ლი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული
წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. **განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

„ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1–ლი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვისა და მასთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1–ლი ივნისის №239 დადგენილების დანართის მე–5 მუხლის 1–ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ.

ბატონი რეზო ჩხეიძის გარდაცვალებიდან 20 წელი არ არის გასული, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ბატონ რეზო ჩხეიძეს ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის, როგორც ქართველ კინორეჟისორსა და საზოგადო მოღვაწეს, სახალხო არტისტს, სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და წლების მანძილზე ცხოვრობდა ქალაქ ქუთაისში, მიზანშეწონილია, დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და მამია ორახელაშვილის ქუჩას მიენიჭოს მისი სახელი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა პატივგებისა და სახელდების კომისიამ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, რეზო ჩხეიძის პატივგების მიზნით, მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1–ლი ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. გამომდინარე აქედან, აუცილებელია, აღნიშნულის შესახებ იმსჯელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ანუ, „ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ“ სამართლებრივი აქტის მიღება გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

3. განკარგულების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით, ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები გაიზრდება დაახლოებით, 3000 ლარის ოდენობით.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, დავით ერემეიშვილი.

5. საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, დავით ერემეიშვილი.

6. **საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული პატივგებისა და სახელდების კომისიის მდივანი, გენადი კუჭუხიძე.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი